57 ასპექტი სოციალური მუშაობის კვლევის შესახებ

ონლაინ კონფერენცია „სოციალური მუშაობა - მეცნიერება სოციალური ცვლილებებისთვის“

კონფერენციის მასალები

26-29 მაისი, 2021

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2021 წელი

სამეცნიერო რედაქტორი: **შორენა საძაგლიშვილი,** ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, სოციალური მუშაობის მაგისტრი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, პროფესორი

ავტორები:

დვალიშვილი, დარეჯან MSW, დოქტორანტი, აშშ.
კილაბერია, თინა PhD, MSW
საითაძე, ინგა PhD, MSW
საძაგლიშვილი, შორენა PhD, MSW
ფარცხალაძე, ნათია PhD, MSW
შატბერაშვილი, ნინო PhD, MSW

დაკაბადონება: **დიანა დანელიანი**

57 Aspects of Social Work Research
Conference proceedings
Online Conference – "Social Work as Science for Social Changes", 2021, Tbilisi
Scientific Editor: **Shorena Sadzaglisvhili**, MSW, PhD, Professor

Authors:

Dvalishvili, Darejan MSW, MD
Kilaberia Tina PhD, MSW
Partskhaladze Natia PhD, MSW
Saitadze Inga, Ph.D., MPhil, MSW,
Sadzaglishvili Shorena PhD, MSW
Shatberashvili Nino PhD, MSW

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა
ქაქუცა ჩოლოყაშვილის 3/5, თბილისი, 0162, საქართველო

ILIA STATE UNIVERSITY PRESS
3/5 Cholokashvili Ave, Tbilisi, 0162, Georgia

კონფერენციის ჩატარების და კონფერენციის მასალების დაბეჭდვა განხორციელდა ევრაზიის გრანტის "Building bridges - development of practice based higher education in social pedagogy as a tool for social reforms and inclusion of persons with disabilities in Armenia, Georgia, Kyrgyzstan and Norway" (CPEA-LT-2017/10043) ფარგლებში.

Organizing the Conference and Conference Proceeding Printing were supported by the Eurasia Foundation Project - "Building bridges - development of practice based higher education in social pedagogy as a tool for social reforms and inclusion of persons with disabilities in Armenia, Georgia, Kyrgyzstan and Norway" (CPEA-LT-2017/10043).

დარეჯან (დაჯი) დვალიშვილი, სოციალური მუშაობის მაგისტრი.

სენტ-ლუისის ვაშინგტონის უნივერსიტეტის სოციალური მუშაობის სკოლის დოქტორანტი

მისი კვლევის ინტერესებია სიღარიბე, ბავშვთა მიმართ ძალადობა და ოჯახის მხარდამჭერი ეკონომიკური ინტერვენციები. დარეჯანი ფლობს კოლუმბიის უნივერციტეტის სოციალური მუშაობის მაგისტრის ხარისხს და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზოგადი პროფილის ექიმი-პედიატრის დიპლომს.

თინა კილაბერია, სოციალური მუშაობის და სოციალური გერონტოლოგიის დოქტორი

თინა კილაბერია არის პოსტ-სადოქტორო მეცნიერ-თანამშრომელი კალიფორნიის დეივისის უნივერსიტეტში (University of California, Davis). იგი შეისწავლის ასაკოვანი ადამიანების სამედიცინო და სოციალური უზრუნველყოფის სისტემებს. ამჟამად თინა კილაბერია მუშაობს შემდეგ პროექტებზე: ასაკოვანი ადამიანების სოციალური იზოლაცია კოვიდ-19 პანდემიის პერიოდში; ასაკოვან პირებზე ოჯახში მზრუნველების მხარდასაჭერად კალიფორნიის რესურსების ცენტრების მიერ განვითარებული პროგრამული და ტექნოლოგიური ინოვაციების შეფასება; რასობრივად და ეთნიკურად განსხვავებული ასაკოვანი ადამიანების და მათზე მზრუნველების გამოცდილება; და ასაკოვანი ადამიანების ფინანსური ექსპლუატაცია. თინა კილაბერია არის მინესოტას უნივერსიტეტის (University of Minnesota – Twin Cities) სოციალური სამუშაოს და სოციალური გერონტოლოგიის სამა-

გისტრო და სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული. იგი ამჟამად ცხოვრობს კალიფორნიაში.

ინგა საითაძე, სოციალური მუშაობის დოქტორი და მაგისტრი

ინგა არის მოწვეული ასისტენტ პროფესორი ნიუ იორკის სითი უნივერსიტეტის სილბერმანის სოციალური მუშაობის სკოლაში.

ინგა ფლობს სენტ-ლუისის ვაშინგტონის უნივერსიტეტის სოცილური სამუშაოს სკოლის სოციალური სამუშაოს მაგისტრის ხარიხს და ასევე, ნიუ იორკის სითი უნივერსიტეტის სოციალური კეთილდღეობის პროგრამის დოქტორის ხარისხს. ინგა საითაძის კვლევის ინტერესები უკავშირდება რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების ადრეულ განვითარებას, მათ ოჯახურ გარემოსა და მშობლის როლს ბავშვების განვითარებაში. ასევე, ადრეულ ინტერვენციებს, რომლებიც აძლიერებენ და ხელს უწყობენ ბავშვის ადრეულ განვითარებას და ოჯახის გაძლიერებას.

შორენა საძაგლიშვილი, სოციალური მუშაობის მაგისტრი, ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი

შორენა საძაგლიშვილი გახლავთ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, სოციალური მუშაობის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების ხელმძღვანელი, ასევე, მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტის სოციალური მომსახურებებისა და ინტერვენციების მეცნიერული განვითარების კვლევითი ცენტრის დამაარსებელი და დირექტორი. საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თავმჯდომარე.

იგი არის სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული ფუნდამენტური კვლევის პროექტის “აივ ინფექციის პრევენცია ქუჩასთან დაკავშირებულ ახალგაზრდებთან” სამეცნიერო ხელმძღვანელი. ასევე, იგი არის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის და აკრედიტაციის ექსპერტი (2017-2021). შორენა საძაგლიშვილმა დაამთავრა თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის ფაკულტეტი სოციალური ფსიქოლოგიის სპეციალობით; 2005 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია ზოგად ფსიქოლოგიაში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დიმიტრი უზნაძის სახელობის ფსიქოლოგიის ინსტიტუტში. მისი სადისერტაციო თემაა მშობლების აგრესიულობის როლი ოჯახური ურთიერთობების ჩამოყალიბებაში. 2003 წელს დაამთავრა აშშ-ს კოლუმბიის უნივერსიტეტი სოციალურ მუშაობაში სოციალურ მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხით. 2014-2015 წელს იყო ამერიკის მთავრობის ფულბრაიტის საერთაშორისო პროგრამის სტიპენდიანტი. მან პოსტ დოქტორანტურა გაიარა ნიუ იორკის უნივერსიტეტში (2014-15), გერმანიის ფრანკფურტის საერთაშორისო პედაგოგიურ კვლევით ინსტიტუტიში (2008), ნიდერლანდების სამეფოს განათლების ფსიქომეტრიულ კვლევით ინსტიტუტში (2008-09) და ფინეთის ტურკუს უნივერსიტეტში (2015). შ. საძაგლიშვილი არის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის დამფუძნებელი და მოქმედი თავმჯდომარე. იგი ხელმძღვანელობდა უამრავ საერთაშორისო თუ სამთავრობო პროექტს სოციალური მიმართულებით, რომელიც მიზნად ისახავდა საქართველოს ეროვნული სოციალური პოლიტიკის დახვეწას და განვითარებას. იგი არის ასამდე საერთშორისო და ეროვნული სამეცნიერო ნაშრომის, მონოგრაფიის, სახელმძღვანელოს, წიგნის, სამეცნიერო მოხსენების, თუ კვლევითი ანგარიშის ავტორი. შორენა საძაგლიშვილს მოპოვებული აქვს არაერთი ჯილდო მისი აკადემიური, კვლევითი თუ პრაქტიკული საქმიანობისათვის. 1998 წელს მან მიიღო ივ. ჯავახიშვილის უნივერსიტეტის გამორჩეული მკვლევრებისთვის და ასპირანტებისათვის განკუთვნილი ჯილდო. იგი არის ღია საზოგადოების ინსტიტუტის სოციალური მუშაობის პროგრამის სტიპენდიანტი (2001-03), აკადემიური განვითარების პროგრამის

სტიპენდიანტი (2004-07) და ფსიქოლოგთა საერთაშორისო კონგრესის (ICP-2008) სტიპენდიანტი. შორენა საძაგლიშვილს აქვს სოციალური პოლიტიკის კონსულტანტის, შეფასების კონსულტანტის და კლინიკური სოციალური მუშაკის რანგში მუშაობის საერთაშორისო და ადგილობრივი გამოცდილება. იგი არის საქართველოში სოციალურ მუშაობაში პირველი სამაგისტრო პროგრამის დამფუძნებელი და ხელმძღვანელი.

ნათია ფარცხალაძე, სოციალური მუშაობის დოქტორი და მაგისტრი

ნათია ფარცხალაძე არის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის თანადამფუძნებელი და გამგეობის წევრი. ნათია ჩართული იყო საქართველოში სოციალური მუშაობის აკადემიური პროგრამის დაარსებაში და ივ. ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ში სამაგისტრო, საბაკალავრო და სერტიფიცირების პროგრამების შექმნის დღიდან, ჩართული იყო სწავლების პროცესში. ნათიას აქვს 20 წლიანი გამოცდილება სოციალური მუშაობის, სოციალური დაცვის, ბავშვთა კეთილდღეობის და ალტერნატიული ზრუნვის სფეროებში. თითქმის 10 წლის განმავლობაში, მუშაობდა გაეროს ბავშვთა ფონდის საქართველოს და ჟენევის რეგიონულ ოფისებში. ამჟამად ნათია დაკავებულია დამოუკიდებელი ექსპერტული საქმიანობით. საერთაშორისო კონსულტანტის რანგში, ის მხარს უჭერს საბერძნეთის და არაბთა გაერთიანებული საემიროების იუნისეფის ოფისებსა და მთავრობებს, ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმირებასა და სოციალური მუშაობის პროფესიულ განვითარებაში. ასევე, სოციალური მომსახურებების გლობალურ ალიანსში ასრულებს ტექნიკური მრჩევლის როლს. ნათიას მიღებული აქვს სამედიცინო განათლება და სამაგისტრო ხარისხები გარემოსა და ჯანდაცვის პოლიტიკაში და სოციალურ მუშაობაში, საქართველოს, უნგრეთისა და აშშ-ს წამყვან უნივერსიტეტებში. დაცული აქვს სადოქტორო დისერტაცია სო-

ციალურ მუშაობაში თემაზე „ცხოვრების ხარისხი, როგორც ბავშვთა კეთილდღეობის სისტემის რეფორმის შეფასების მეთოდი.“

ნინო შატბერაშვილი, სოციალური მუშაობის დოქტორი და მაგისტრი

ნინო შატბერაშვილი არის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სოციალური მუშაობის სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი. ნინო არის საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი და გამგეობის წევრი; სოციალურ მუშაკთა კლუბის დამფუძნებელი და გამგეობის წევრი. ნინო აქტიურ პროფესიულ საქმიანობას ეწევა საქართველოშიც და საერთაშორისო დონეზეც. ამჟამად ის არის სოციალური კეთილდღეობის საერთაშორისო საბჭოს მეორე წარმომადგენელი ევროპის საბჭოში; ამერიკის სკოლის სოციალურ მუშაკთა ასოციაციის წევრი; ამერიკის სოციალური მუშაობის მართვის ქსელის წევრი; ევროპის აღდგენითი მართლმსაჯულების ფორუმის, აღდგენითი სკოლის სამუშაო ჯგუფის წევრი; ევროპის სოციალური მუშაობის სკოლების საერთაშორისო ასოციაციის ეკო სოციალური მუშაობის საინიციატივო ჯგუფის წევრი.

2021 წლის 26, 27, 28, 29 მაისს საქართველოს სოციალურ მუშაკთა ასოციაციამ გამართა კონფერენცია სახელწოდებით - „ სოციალური მუშაობა - მეცნიერება სოციალური ცვლილებებისთვის“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. კონფერენციის პირველი დღე დაეთმო “სოციალური მუშაობის სამეცნიერო კვლევის მთავარი მახასიათებლების” განხილვას, სადაც მონაწილეობას იღებდნენ, როგორც საქართველოში მეცნიერების დარგში მომუშავე პროფესორები, ასევე, საერთაშორისო უნივერსიტეტებში (აშშ) მომუშავე ქართველი მეცნიერები/დოქტორანტები სოციალური მუშაობის მიმართულებით. დისკუსია მიზნად ისახავდა სოციალური მუშაობის სამეცნიერო კვლევის ძირითადი მახასიათებლების/ასპექტების ჩამოყალიბებას. ქვემოთ წარმოდგენილია დისკუსიის საფუძველზე ჩამოყალიბებული რეკომენდაციები, სოციალური მუშაობის კვლევის თავისებურებები და ძირითადი ასპექტები. კონფერენციაზე გამოთქმული კვალიფიციური მოსაზრებები დაეხმარება სოციალური მუშაობის სადოქტორო პროგრამებს უპასუხონ არსებულ გამოწვევებს და დახვეწონ სოციალური მუშაობის სწავლება სადოქტორო დონეზე.

1. სოციალური მუშაობის კვლევის ძირითადი ნიშნებია:

- სოციალური მუშაობის ძირითად კონსტრუქტებთან, პროფესიულ მიზნებთან, ეთიკის კოდექსთან და ღირებულებებთან შესატყვისობა;
- მთავარი სოციალური პრობლემები დანახულია სისტემურად;
- კვლევა ემსახურება სოციალურ ცვლილებას, სოციალური სამართლიანობის მიღწევას;
- მეთოდოლოგიურად სრულყოფილი და გამართულია;
- სოციალური მუშაობის კვლევა ორგანულ გარემოშია ჩატარებული;
- მისი მიზანია კვლევის შედეგების გათვალისწინებით ეფექტური მომსახურებების განვითარება, სოციალური პოლიტიკის ჩამოყალიბება, შესაბამისი სტრუქტურების მიერ მტკიცებულებებით გამყარებული გადაწყვეტილებების მიღების ხელშეწყობა.

2. სოციალური მუშაობა არის:

- ინტერდისციპლინური: სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენლები მუშაობენ ერთად, რომ მოახდინონ თეორიების სინთეზი და ინტეგრაცია საერთო პრობლემის შესასწავლად;
- ტრანსდისციპლინური/ტრანსლაციური: სხვადასხვა დისციპლინის წარმომადგენლები და პრაქტიკოსები თანამშრომლობენ რთული სოციალური პრობლემების გადასაჭრელად.

3. სოციალური მუშაობა, როგორც ინტეგრაციული დისციპლინა იყენებს სოციალურ მეცნიერებებში არსებულ თეორიებს და ასევე, ქმნის სოციალური მუშაობის ინტეგრაციულ თეორიებს, ე.წ."ადგილობრივ ცოდნას" "indigenous knowledges" (IFSW) და მოდელებს კომპლექსური და კრიტიკული სოციალური პრობლემების გადასაჭრელად. Sommerfeld-ის (2014) მიხედვით სოციალური მუშაობა არის ე.წ. "ქცევითი მეცნიერება". ეს არის უფრო მეტი, ვიდრე ემპირიული მონაცემების მეტანალიზი და/ან მარტივი გაერთიანება. მისი მიზანია აქტივობების საფუძველზე სპეციფიური თეორიების შექმნა - ე.წ. ტექნოლოგიური ცოდნის განვითარება, რომელიც შეიცავს მულტიდისციპლინურ ცოდნას (Sommerfeld, 2014).

4. სოციალური მუშაობა არის "Translational Science" - ტრანსლაციური მეცნიერება (Fong, 2012). კვლევა, რომელიც ახდენს პრაქტიკის ინფორმირებას და პრაქტიკა, რომელიც ახდენს კვლევის ინფორმირებას. მისი მიზანია პრაქტიკოსის, მკვლევრის და ბენეფიციარის დაკავშირება ისეთი კვლევითი მოდელების და მეთოდების გამოყენებით, რომელიც საჭიროა მეცნიერებაზე დაფუძნებული სოციალური მომსახურებების შესაქმნელად.

5. საჭიროა ადგილობრივი მტკიცებულებების ფორმირების მაქსიმალური ხელშეწყობა კვლევების შედეგების საფუძველზე და ამაზე დაყრდნობით პრაქტიკის განვითარება.

6. სოციალური მუშაობის კვლევას აქვს პრაგმატული ფოკუსი, რადგან იგი ველთანაა დაკავშირებული.

7. კვლევის წარმოების დროს მნიშვნელოვანია მკვლევართა უშუალო გამოცდილების გამოყენება შესასწავლ სოციალურ პრობლემასთან მიმართებაში და მათი უშუალო ჩართულობა სამომავლოდ ამ პრობლემის მოგვარებაში.

8. სოციალური მუშაობა უნდა ითვალისწინებდეს კლიენტების/ბენეფიციარების მხრიდან მოლოდინებს, შეხედულებებს, ასევე, სახელმწიფოს, საზოგადოების მხრიდან მოლოდინებს და პროფესიულ განსჯას.

9. სოციალური მუშაობის კვლევა ხორციელდება სოციალური მუშაობის პრაქტიკის დასახვეწად. შესაბამისად, სოციალური მუშაობის პრაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს სოციალური მუშაობის კვლევიდან მიღებულ მტკიცებულებებს.

10. კვლევა უნდა პასუხობდეს კითხვას „მერე რა"?, რა შედეგებს მოიტანს კვლევა, რომელსაც ახლა ვახორციელებთ. ეს არ არის კვლევა მხოლოდ კვლევითი ბაზის შექმნისთვის, არამედ ეს არის კვლევა, რომლის შედეგების გამოყენებაც უნდა მოხდეს პრაქტიკაში ანუ სოციალური მუშაობის კვლევას უნდა ჰქონდეს გამოყენებითი ხასიათი.

11. კვლევა არ უნდა იყოს მხოლოდ კვლევა, არამედ მას უნდა მოჰყვებოდეს თავად სოციალური მუშაკის, მომსახურების მიმღების, კლიენტის ქმედებაც.

12. სოციალური მუშაობის კვლევის მთავარი მახასიათებელი არის ის, რომ იმუშაოს სოციალური პრობლემის აღმოფხვრაზე კვლევის შედეგებზე დაყრდნობით.

13. ჩარევა უნდა განხორციელდეს თეორიული საფუძვლების ან უკვე არსებული მტკიცებულებების გათავალისწინებით. ამისათვის უნდა შეიქმნას ადგილობრივ დონეზე მტკიცებულებები. კერძოდ, ეს არის ადგილობრივი სოციალური და კულტურული გარემოს გათვალისწინებით მტკიცებულებების მოპოვება კონკრეტულ სფეროში, კონკრეტულ ჯგუფთან კონკრეტული ინსტრუმენტებით ანუ ეს არის ჩარევა კონკრეტული სოციო-კულტურული კონტექსტის გათვალისწინებით.

14. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის განხორციელების პროცესის ფასილიტაციისთვის ყველაზე ცნობილი მოდელებია:

- RE-AIM (reach, efficacy, implementation, maintanance) ხელმისაწვდომობა, ქმედითობა, განხორციელება, შენარჩუნება).
- ARC (Availability, Responsiveness and Continuity) ხელმისაწვდომობა, მყისიერება/ეფექტიანობა, განგრძობადობა.

15. მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის დროს მომსახურების მიმღებთა ჩართულობა შემდეგნაირად შეიძლება განისაზღვროს:

- ა) მომსახურების მიმღებთა შორის არსებული განსხვავებების გათვალისწინება განზოგადებულ ჩარევაში სამეცნიერო სტანდარტის დაცვით;
- ბ) მომსახურების მიმღებთა ხელშეწყობა კრიტიკული აზროვნების ფორმირებასა და პრაქტიკასთან დაკავშირებული კვლევის კრიტიკაში წვლილის შეტანით;
- გ) მომსახურების მიმღებთა, როგორც მომსახურების მიმღებთა, როგორც ინფორმირებული მონაწილეობა, ასევე ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში;
- დ) მომსახურების მიმღებთა, როგორც ცოდნის პირველწყაროთა, ჩართულობა მდპ-ის (მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის) ინტერპრეტაციისა და განხორციელების პროცესში.

16. პრაქტიკოსები უნდა შეეცადონ პოტენციურად ყველაზე ეფექტიანი მომსახურების მიწოდებას შემდეგის გათვალისწინებით:

- ყველაზე ძლიერი ხელმისაწვდომი მეცნიერული მტკიცებულება;
- პრაქტიკოსის ცოდნა;
- მომსახურების მიმღებთა თვისებების, ღირებულებების, უპირატესობებისა და გარემოებების გათვალისწინება;
- ყოველ მოცემულ შემთხვევაში გაზომვა, რამდენად მიიღწევა სასურველი შედეგი შერჩეული ჩარევის მეთოდით;
- თუ ჩარევა სასურველ შედეგს ვერ აღწევს, ალტერნატიული ჩარევის შერჩევა და შეფასების გამეორება.

17. სოციალური მუშაობის კვლევის დროს უნდა გავითავლისინწინოთ შემდეგი შესაძლო ნაკლოვანებები, რომელიც სოციალური კვლევების მეტაანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა:

- სოციალური მუშაკების მიერ განხორციელებულ კვლევა არ წარმოაჩენდა ნათლად, თუ რას განიცდიდნენ თავად მონაწილეები კვლევის პროცესში, რა დამოკიდებულებები ქონდათ, რა ისწავლეს ახალი, რა დაიგეგმა კვლევის შედეგად;
- არ გააცნეს მკვლევრებმა კვლევის მონაწილეებს შედეგები და მათგან არ მიიღეს უკუკავშირი;

- არ გაუგზავნიათ მადლობის წერილები მონაწილეებისათვის;
- არ გაზომეს მონაწილეებში, როგორი იყო ცნობიერების დონე იმ საკითხისადმი რასაც იკვლევდნენ, კვლევის დაწყების ეტაპზე და შემდეგ;
- მონაწილეები არ იყვნენ წარმოჩენილნი თანაბრად. კვლევის ზოგიერთ მონაწილეს, როგორც კარგ მოდელს, კარგ შემთხვევას განიხილავდნენ, თუ როგორ გაუძლო იმ პრობლემას, რამდენად მედეგი იყო, რა ხარისხით აჩვენა მედეგობა, ხოლო სხვას კი არ ითვალისწინებდნენ და ა.შ.

18. სოციალურ მუშაობაში პრაქტიკით ინფორმირებული მტკიცებულება განსაკუთრებით მნიშვნელოვანაია, რადგან პრაქტიკაზე დაფუძნებით იქმნება მტკიცებულებები. აგრეთვე, ეს ხაზს უსვამს მომსახურების მიმღებთა ჩართულობის მნიშვნელობას.

19. განსაკუთრებით კრიტიკულია სტუდენტების და დამსაქმებელი ორგანიზაციის თანამშრომლობა კვლევის მიმართულებით, რათა მოხდეს პრაქტიკული საქმიანობის აღნუსხვა და მტკიცებულებების ფორმირება.

20. მნიშვნელოვანია კვლევის ინტერნალური და ექსტერნალური ვალიდობის გათვალისწინება. საჭიროა შემდეგ კითხვებზე პასუხის გაცემა: - რა ცვლილება მოახდინა ამ კონკრეტულმა კვლევამ და მეორე, რამდენად შესაძლებელია მისი რეპლიკაცია და ადგილობრივ პრაქტიკაში დანერგვა? რადგან გარემო განსხვავებულია, სადაც ის უნდა დაინერგოს. ამიტომ ადგილობრივი მტკიცებულებების ფორმირება ძალიან გაამდიდრებდა და კარგ საფუძველს შეუქმნიდა სოციალური მუშაობის პრაქტიკის განვითარებას საქართველოში.

21. მთავარ ბარიერად მიიჩნევა პრაქტიკოსებსა და მკვლევრებს შორის ძალიან სუსტი კავშირი. როგორც წესი, პრაქტიკოსები არიან ცოდნის პასიურად მიმღებნი.

22. ბავშვთა კეთილდღეობაში კვლევის მიმართულებით ყველაზე აქტუალურია ისეთი საკითხების კვლევა, როგორიცაა ბავშვთა სიღარიბე, ძალადობა, ოჯახში ძალადობა, ნივთიერებებზე დამოკიდებულება, მართლმსაჯულება, ადრეული განვითარება და ა.შ.

23. ბავშვთა კეთილდღეობის მიმართულებით ბავშვთა მიმართ ძალდობის და სხვა უარყოფითი გამოცდილების კვლევისთვის მე-

ტად პოპულარული ხდება ბავშვობის უარყოფითი გამოცდილებების (Adverse Childhood Experiences (ACEs) ინსტრუმენტის გამოყენება.

24. ბავშვთა სიღარიბე და ძალადობა პრობლემური საკითხებია, და არანაკლებ პრობლემურია ამ მიმართულებით კვლევებიც. მონაცემები აჩვნებს, რომ სხვადასხვა ქვეყნებში სხვადსხვანაირად ხდება ამ პრობლემების გააზრება და გაზომვა. ამიტომ რთულდება ქვეყენების მიხედვით შედარება. სად უფროა გავრცელებული, ვინ არის დაზარალებული და ა.შ. ამავე დროს გაძნელებულია მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა, თუ რამდენად განსაზღვრავს სიღარიბე ბავშვთა მიმართ ძალადობას. ასევე, არაა საკმარისი ინფორმაცია, თუ რა გავლენას ახდენს სიღარიბის შემცირება და ოჯახის მხარდამჭერი პროგრამები ბავშვთა მიმართ ძალადობაზე. როდესაც ხდება ეკონომიკური ინტერვენციები, ზომავენ განათლებას, დასაქმებას და ა.შ. ხოლო თუ რამდენად შეიცვალა ძალადობის დინამიკა კვლევების ინტერესის მიღმა რჩება.

25. სოციალურ გერონტოლოგიაში კვლევითი მიმართულებებია: ჯანსაღი დაბერება, ადგილზე დაბერება, განგრძობითი სამედიცინო მომსახურება, გარემოს ასაკოვანზე მორგებულობა, ასაკოვან ადამიანზე ძალადობის აღკვეთა, ოჯახში მზრუნველობა.

26. სოციალური მუშაობის კვლევა არის ინტერდისციპლინური. მაგალითად, სოციალურ გერონტოლოგიაში ბევრი თეორიებია, რომელიც ფსიქოლოგიის სფეროდან მოდის, სოციოლოგიიდან და ა.შ.

27. სოციალური მუშაობა არსებული თეორიების პრაქტიკაში გამოყენებით ქმნის სოციალური მუშაობის ახალ თეორიებს, რომელსაც შესაძლოა ვუწოდოთ პრაქტიკით ინფორმირებული თეორია. ერთის მხრივ, ჩვენ გვჭირდება თეორიები და მეორე მხრივ, აუცილებელია ამ თეორიების პრაქტიკაში გამოყენება, პრაქტიკაში იმ ცოდნის/თეორიების გამოცდა, რომელიც უკვე არსებობს.

28. პრაქტიკის განხორციელების პროცესში ხდება ახალი ცოდნის მიღება, ეს არის ე.წ. ტექნოლოგიური ცოდნა, უნიკალური ცოდნა, რაც კონკრეტული პრაქტიკის განხორციელების დროს იქმნება.

29. დგება საკითხი, რამდენად შეგვიძლია მტკიცებულების სხვა სიტუაციებზე გადატანა. რამდენად განვაზოგადებთ, რამდენად ვალიდური იქნება ჩვენი განზოგადება. ამისათვის არსებობს ძალიან დიდი წინააღმდეგობა.

30. კვლევა უნდა იყო რეპრეზენტატული იმისათვის, რომ ჩვენ შევძლოთ განზოგადება. თუმცა, ჩვენ, როცა სოციალურ მუშაობაში ასეთ კრიტიკულ, რეფლექსიურ პრაქტიკულ გამოცდილებაზე გვაქვს საუბარი, ცოდნის ასეთი გადატანა, ერთი კონკრეტული კონტექსტიდან სხვა კონტექსტში, კითხვის ნიშნის ქვეშ დგება.

31. საჭიროა საკვლევი მიზანი დავანაწევროთ, რადგან შეუძლებელია გავცეთ პასუხი დიდ პრობლემას პატარა პრობლემებზე პასუხის გაცემის გარეშე.

32. სოციალური მუშაობა შერეული და ინტერდისციპლინური დარგია. სოციალური მუშაობა ემსახურება რთული და კომპლექსური სოციალური პრობლემების გადაჭრას, რაც მოითხოვს სხვადასხვა დისციპინებიდან შესაბამისი თეორიების გამოყენებას. სოციალური მუშაობა გამოყენებითი სოციალური მეცნიერების დარგია.

33. სოციალური მუშაობის კვლევა უნდა იყოს აგებული სოციალური მუშაობის ცნებების გარშემო. სოციალურ მუშაობაში მნიშვნელოვანია სოციალური მუშაობის კვლევის სისტემური პერსპექტივა.

34. ძნელია ზუსტად განისაზღვროს, თუ როგორია სოციალური მუშაობის კვლევა. აქედან გამომდინარე, რთულია საზღვრების დაცვა სხვადასხვა დისციპლინებს შორის.

35. მნიშვნელოვანია, რომ კვლევა ჩაატაროს სოციალურმა მუშაკმა, თორემ კვლევა თავისი არსით შესაძლოა ეხებოდეს ყველა სოციალური სფეროს. მთავარია, ამით სოციალურ მუშაკს გაუჩნდეს მიკუთვნებულობის განცდა.

36. დოქტორანტის კვლევა, ერთის მხრივ, მის პროფესიულ ინტერესებს უნდა შეესაბამებოდეს, და მეორე მხრივ იმას, რაც პიროვნულად ანიჭებს სიამოვნებას და აძლევს მუშაობის მოტივაციას.

37. ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში მეტი პროფესიები ინტერესდებიან სოციალური მუშაკებით. მაგალითად, ბავშვთა ძალადობაზე ძირითადად ახალი ლიტერატურა მოდის სამედიცინო სფეროდან. პროფესიონალები აღიარებენ, რომ პაციენტებში საჭირო შედეგების მიღება მათი მხოლოდ სამედიცინო მხარდაჭერით შუძლებელია. შესაბამისად, აუცილებელი ხდება "Social determinants of health" კონცეფცია, რომელიც ძალიან ეხმიანება სოციალურ მუშაკების მუშაობას.

38. კონკრეტული საკითხის შესწავლის დროს არ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ სოციალური მუშაობის მიმართულებით ჟურნალებით, სოციალური მუშაობის სფეროთი. საჭიროა, რომ ინტერდისციპლინარულ ნაშრომებს მივაქციოთ ყურადღება. ამით შესაძლებელია სოციალური მუშაობის თვალთახედვის გაფართოება და პროფესიის მიღმა გასვლა.

39. აშშ-ში არსებობს ძალიან დიდი და კარგად ორგანიზებული ბაზები, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია შევიდეს და ნახოს ნებისმიერი სერვისი, თუ რამდენად ეფექტური, ეფექტიანი მომსახურებაა მიზნობრივი ჯგუფისთვის. კალიფორნიაში არის ბაზები, სადაც ხდება არა მარტო ინფორმირება, თუ რა პროგრამები არსებობს, არამედ მოცემულია ამ პროგრამების რეიტინგი და კატეგორიზაცია, თუ უშუალოდ რომელ სერვისთან მიმართებაში რა მტკიცებულება, კვლევა არსებობს, რა შედეგები დაიდო და რამდენად მიზანშეწონილია ამა თუ იმ სერვისის სხვა ჯგუფებთან ან სხვა კონტექსტში გამოყენება. ძირითადად, მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკა არ არის მიბმული დაფინანსების წყაროზე, არამედ ის დაკავშირებულია კვლევის ხარისხთან. რამდენად ეთიკური იყო კვლევა, რა მეთოდოლოგიური მიდგომები განხორციელდა, რა შედეგები დაიდო და ა.შ.

40. კვლევის შესახებ გამოქვეყნებული მონაცემები ერთგვარად მიკერძოებულია. საქმე იმაშია, რომ როდესაც არაა მიღებული მნიშვნელოვანი სტატისტიკურად სანდო შედეგი, ასეთი სტატიები ხშირ შემთხვევაში არ ქვეყნდება. სამეცნიერო ჟურნალი მაინცდამაინც არ არის დაინტერესებული გამოაქვეყონოს ის ინფორმაცია, რომელიც ამბობს, რომ ეს ინტერვენცია არ იყო ეფექტური. სინამდვილეში კი, ეს ფასეული ინფორმაციაა. რაც ბუნებრივია, კიდევ უფრო ართულებს ამა თუ იმ სერვისის ეფექტურობის შესახებ სანდო ინფორმაციის მოპოვებას.

41. საქართველოში ძალიან მწირია კვლევის დაფინანსების წყაროები და ალბათ, მოთხოვნაც არ არის. შესაბამისად, უნდა იყოს მეტი მოთხოვნა, რომ მიწოდება გაიზარდოს.

42. კვლევების უმრავლესობა მეთოდოლოგიურად ვერ პასუხობს ხარისხობრივ კრიტერიუმებს. მნიშვნელოვანია, სოციალურმა მუშაკებმა და მომავალმა მკვლევრებმა კარგად ისწავლონ კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომები, რომ როგორც პროფესიამ და რო-

გორც პროფესიონალებმა დაიმკვიდრონ თავი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ზოგადად პროფესიაში.

43. დღეს მარტო სოციალური მუშაობის სფეროს ცოდნა არ არის საკმარისი, რადგან იმდენად მაღალია კონკურენცია, მაღალია მოთხოვნა და გაზრდილია ხარისხიანი პროდუქტების მოთხოვნა, სოციალური მუშაობის მკვლევარს მეტი მეთოდოლოგიური უნარ-ჩვევები სჭირდება, რომ შეძლოს თავის წარმოჩენა და თანამედროვე გამოწვევებზე პასუხი.

44. საქართველოში სოციალური მუშაობა დიდწილად ცდილობს დაიმკვიდროს ადგილი და ეს თემა ნაკლებად აქტუალურია განვითარებულ ქვეყნებში. ბავშვთა კეთილდღეობის სფეროში სოციალური მუშაობის განვითარებამ საქართველოში დასაბამი დაუდო ამ მიმართულებით კვლევის გაფართოებას. თუმცა, მეორე მხრივ, კვლევის გაფართოებამ განუვითარებელ სფეროებში, მაგალითად, სოციალურ გერენტოლოგიაში, შესაძლოა პრაქტიკის განვითარების შესაძლებლობა მოგვცეს. ასევე, მნიშვნელოვანია ქვეყანაში მოცემული მტკიცებულებები პოლიტიკის განვითარებისთვის გამოვიყენოთ. მაგალითად, საქართველოში პირველად გაჩნდა შესაძლებლობა, მრავალი წლის შემდეგ, რომ ადამიანის უფლებათა სტრატეგიაში ხანდაზმულთა საჭიროებები აისახოს, როგორც ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება. თუმცა, სამწუხაროა, რომ საქართველოში ადგილობრივი მტკიცებულება პრაქტიკულად არ გაგვაჩნია.

45. სოციალური მუშაობის კვლევა უნდა ეყრდნობოდეს კვლევის თანამედროვე მეთოდოლოგიას. თუმცა, სოციალური მუშაობის კვლევაში ერთი თავი, ერთი აბზაცი დათმობილი უნდა ქონდეს სოციალურ მუშაობას, უნდა გამოიკვეთოს სოციალური მუშაკის როლი, ან რა არის პროფესიული ფუნქცია იმ კონკრეტული სოციალური პრობლემის აღმოფხვრაში, დაძლევაში, მასზე რეაგირებაში.

46. სოციალური მუშაობაში განხორციელებულ კვლევას თან ახლავს აქტივობები, რომელიც უნდა უკავშირდებოდეს სოციალურ ცვლილებებს და პოლიტიკაში ცვლილებებს. მნიშვნელოვანია, ხაზი გავუსვათ იმას, თუ ეს აქტივობები როგორ უწყობს ხელს ამა თუ იმ ჯგუფთან დაკავშირებით სოციალური პოლიტიკის შეცვლას. ესაა ყველაზე მთავარი.

47. ყველა კვლევა არის მნიშვნელოვანი, იქნება ეს სტატისტიკურად მნიშვნელოვანი შედეგები თუ არა. მთავარია, ხაზი გავუსვათ

იმას, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული შედეგები რამდენად ამდიდრებს სფეროს ან რა დანამატი შეაქვს სოციალური მუშაობის სფეროში. ეს შეიძლება იყოს "ძალიან პატარა და მნიშვნელოვანი", მაშინ როცა "ჩვენ ყოველთვის ვეძებთ ძალიან დიდს". ეს არის ყველაზე დიდი არგუმენტი იმათ მიმართ, ვინც "ენჯეოშნიკურს" ეძახის ამა თუ იმ კვლევას.

48. სოციალური მუშაობა სხვა სფეროებთან შედარებით ჩამორჩენილია, თუნდაც, საზოგადოებრივ ჯანდაცვასთან მიმართებაში, ჩამორჩება შედეგების გავრცელებაში. არის უამრავი ინფორმაცია, მაგრამ ხშირად ეს ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი სოციალური მუშაკებისთვის. ამასთან, ჟურნალები ფასიანია. პროფესიონალებს არა აქვთ წვდომა. ამდენად, ძალიან მნიშვნელოვანია არ მხოლოდ კვლევის ჩატარება, არამედ იმაზე ფიქრი, თუ როგორ მოხდება მონაცემების გავრცელება, რამდენად მისაწვდომი იქნება ეს მონაცემები დაინტერესებული მხარეებისთვის. შესაბამისად, მკვლევარმა წინასწარვე უნდა განსაზღვროს, თუ როგორ მოხდება მისი კვლევის შედეგების გავრცელება, ე.წ. დისემინაცია.

49. ყველა კვლევა მნიშვნელოვანია, თუნდაც ადამიანების მცირე ჯგუფს ეხებოდეს, რადგან იმ ადამიანებისთვის ეს პრობლემა მნიშვნელოვანია. საქართველოში პროფესიულ წრეებში და არც საზოგადოებაში არ ხდება შედეგების გავრცელება. ეს ამცირებს პროფესიული საზოგადოების ცნობიერებას ამა თუ იმ პრობლემის აქტუალურობაზე, ან შესაბამისი აქტივობის ეფექტურობაზე, ჩარევაზე და ა.შ. ამიტომ კვლევის ეთიკური, მეთოდოლოგიური ხარისხის მიღწევის გარდა, მნიშვნელოვანია კვლევის შედეგების გავრცელების დაგეგმვაც. ფაქტია, სანამ პრობლემა არ გახდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემა, ხშირად მას არ მოჰყვება ხოლმე რეზონანსი საზოგადოებაში. სოციალურ მუშაკებს, როგორც საქართველოში, ასევე მსოფლიოში აკლიათ საკუთარი ინფორმაციის, საკუთარი შედეგების მნიშვნელოვნების შესახებ ადვოკატობა. აუცილებელია, გავითვალისწინოთ ის ფაქტორიც, რომ მარტო მუშაობა კი არა, მუშაობაზე ლაპარაკიც თანაბრად მნიშვნელოვანია. ამისთვის კი, არაერთი გზა არსებობს, თუ როგორ შეიძლება მიღებული შედეგების გავრცელება.

50. ზოგადად, თეზისი, სამაგისტროა თუ სადისერტაციო იწერება კომისიისთვის ანუ კომისიას უდასტურებ, რომ შეგიძლია დამოუკიდებლად კვლევის წარმოება. ყველა ფაკულტეტს აქვს თავისი

სახელმძღვანელო, იქვე არის გაწერილი, თუ რა მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს ეს კვლევა, თეზისი, რომელსაც ეს თუ ის ფაკულტეტი მოითხოვს იმისთვის, რომ საბოლოოდ გასცეს დიპლომი.

ასევე, ნათლადაა გაწერილი ვისგან შედგება კომისია, რა თემაზე შეიძლება დაწერო თემა, რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილოს, მათ შორის სამეცნიერო კუთხითაც. ეს ერთგვარ კალაპოტს იძლევა სტუდენტებისთვის, როგორ დაორგანიზდნენ იმისთვის, რომ აწარმოონ კვლევა. ეს პირველი მხარდამჭერი რგოლია. ამის შემდეგ, ეს სოციალური მუშაობის, თუ სხვა დარგის კვლევაა, უკვე არაა არსებითი. მოკლედ, სახელმძღვანელოში დეტალურად უნდა იყოს მოცემული, თუ რა მოთხოვენებს უნდა აკმაყოფილებდეს სადისერტაციო ან სამაგისტრო ნაშრომი და ეს განსაზღვრულია თავად ფაკულტეტის მიერ და მასში ძალიან ნათლადაა აღწერილი კვლევის კრიტერიუმები. ასეთი სახელმძღვანელოები მოცემულია აშშს-ს ყველა უნივერსიტეტის ვებგვერდზე და მისაწვდომია ყველასთვის.

51. აშშ-ში სოციალური მუშაობის სადოქტორო დისერტაციის დაცვის დროს, კომიტეტში უნდა იყოს მინიმუმ ხუთ წევრი და მათგან ერთი უნდა იყოს განსხვავებული სფეროდან. სხვა პროფესიონალი უნდა შემოვიდეს კომიტეტში იმის მიხედვით, თუ რას ეხება კვლევა. დისერტაციის მინიმუმ ერთ-ერთი ქვეთავი უნდა იყოს "implication for social work" ანუ რა მნიშვნელობა აქვს ამ ნაშრომს, ამ კვლევას სოციალური მუშაობისათვის. ეს არის მნიშვნელოვანი თავი, რომელზეც მუდმივად ხდება კომენტირება და რეფლექსია იმ კომიტეტის წევრებისგან, რომლებიც მუდმივად სვამენ კითხვას, რომ "მერე რა?" ამიტომ მნიშნელოვანია, არგუმენტი იყოს საკმაოდ ძლიერი, თუ რა სიახლე შემოგაქვს სფეროსთვის, რას აკეთებ ახალს და იყოს მეთოდოლოგიურად, ხარისხობრივად გამართული ნაშრომი, რომელიც მართლა გაუძლებს პროფესიულ კრიტიკას სფეროში და სფეროს მიღმა. კერძოდ, როგორ აღიქვამენ ამ შედეგებს სხვა პროფესიონალები. მაგალითად, თემა არის "სიღარიბე და ბავშვთა მიმართ ძალადობა" და შესაბამის სადისერტაციო კომიტეტში არიან როგორც ძალადობაზე მომუშავე პროფესიონალები, ასევე საზოგადოებრივ ჯანდაცვაში მომუშავე პირები, ეკონომისტებიც. ამ სკოლის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნაა, რომ კომისია სხვადასხვა პროფესიონალებით იყოს დაკომპლექტებული.

52. აშშ-ში დისერტაციის დაცვა მრავალეტაპიანი პროცესია და ერთ-ერთი ეტაპია განაცხადის დაცვა, რომელიც ეხება, თუ რა უნ-

და გაკეთდეს დაგეგმვის ეტაპზე. ამ განაცხადის დაცვა ხდება ხუთი წევრისგან შედგენილი კომიტეტის წინაშე, რომელიც დაკომპლექტებულია სხვადსხვა პროფესიის ადამიანებით. პროფესორებთან წინასწარ ხდება შეთანხმება, მათთან ინტერესების გაცნობა. კომიტეტის წევრებს აქვთ დიდი პასუხისმგებლობები, ისინი ვალდებულები არიან სადისერტაციო განაცხადზე გააკეთონ კომენტარები, სანამ კანდიდატი გავა დაცვაზე. ეს არის ხანგრძლივი პროცესი.

53. აშშ-ს უნივერსიტეტებში ფუნქციონირებს ძალიან ძლიერი ეთიკური კომისიები. თუ ეთიკურმა კომისიამ არ დაადასტურა რომ კვლევა ეთიკურია, კანდიდატი ვერ ჩაატარებს კვლევას, ვერ მოაგროვებს კვლევის მონაცემებს, მითუმეტეს, ვერ გამოიყენებს მეორეულ ინფორმაციას. მხოლოდ სადისერტაციო კომიტეტის და უნივერსიტეტის ეთიკური კომისიის თანხმობის შემდეგ, სტუდენტს შეუძლია კვლევის განხროციელების დაწყება. ამის შემდეგ, მას უკვე შეუძლია დაგეგმოს ის აქტივობები, რაც განაცხადშია მითითებული. ასევე, უნივერსიტეტს ხანდახან აქვს დაფინანსების რესურსი და შეიძლება დააფინანსოს სტუდენტები. ასევე, არის გარე რესურსები, ინსტიტუტები, რომლებიც მზად არიან დააფინანსონ დოქტორანტი სტუდენტების კვლევები. ფინანსები სპეციფიურად გამიზნულია დოქტორანტი სტუდენტების კვლევებისთვის.

54. სოციალური მუშაობის სადისერტაციო დონის კვლევა უნდა იყოს დროში გაწერილი, რაც გეგმის სახით უნდა იყოს წინასწარ წარმოდგენილი კომიტეტის წინაშე. გეგმა უნდა იყოს რეალისტური და არა ამბიციური.

55. საქართველოში მნიშვნელოვანია სადოქტორო პროგრამების გაძლიერება, პროფესიონალი მკვლევრების მომზადება, მაღალი ხარისხის სოციალური მუშაობის კვლევის ჩატარება; სოციალური მუშაობის მიმართულებით მეცნიერების აღიარება მეცნიერებათა აკადემიის მიერ; უნივერსიტეტებში ინტელექტუალური სამეცნიერო თემის განვითარება, რომელიც ჩაატარებს ინტერდისციპლინურ და ტრანსდისციპლინურ კვლევას და შექმნის ისეთ აკადემიური გარემოს, რომელიც ხელს შეუწყობს სხვადასხვა აკადემიური პერსონალის თანამშრომლობას.

56. საჭიროა სახელმწიფო ფონდები დაინტერესდნენ სოციალური მუშაობის კვლევის ხელშეწყობით, რათა შეიქმნას ცოდნა ეფექტური სოციალური მომსახურებების და პოლიტიკის განვითარებისათვის.

57. აშშ-ს “The Grand Challenges for Social Work” პროექტის მიზანია სოციალური პროგრესის ხელშეწყობა, რაც ინიცირებულია აშშ-ს სოციალური მუშაობის და სოციალური კეთილდღეობის აკადემიის მიერ (--- the American Academy of Social Work & Social Welfare in 2016). აშშ-ს სოციალური მუშაობის და სოციალური კეთილდღეობის აკადემიის მიზანია:

- სოციალური მუშაობის მეცნიერების და ცოდნის ბაზის განვითარება;
- შესაბამისი დისციპლინების და სფეროების თანამშრომლობის ხელშეწყობა კომპლექსური სოციალური პრობლემების გადასაჭრელად;
- სოციალური მკვლევრების (მეცნიერების) და პრაქტიკოსების თანამშრომლობის ხელშეწყობა.

ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) აკადემიის მიერ იდენტიფიცრებულია ოცდამეერთე საუკუნის თორმეტი დიდი გამოწვევა. ეს გამოწვევებია:

- ახალგაზრდობის ჯანსაღი განვითარება;
- ჯანდაცვის სფეროში არსებული ხარვეზების ამოვსება;
- ჯანსაღი, პროსოციალური ურთიერთობების ხელშეწყობა ძალადობის აღმოფხვრის მიზნით;
- ხანგრძლივი და სასარგებლო ცხოვრების ხელშეწყობა;
- სოციალური იზოლაციის შემცირება;
- უსახლკარობის პრობლემის გადაჭრა;
- მუდმივად ცვალებად სამყაროზე სოციალური რეაგირება;
- სოციალური კეთიდღეობის/სიკეთისთვის ტექნოლოგიების გამოყენება;
- რასიზმის და დისკრიმინაციის აღმოფხვრა;
- პენიტენციური დაწესებულებებიდან გამოსვლის ეფექტური მეთოდების დარეგვის ხელშეწყობა;
- ყველასათვის ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა;
- უკიდურესი ეკონომიკური უთანასწორობის შემცირება.